2019 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

**შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი ბიუჯეტის**
**მიზნობრივი პროგრამა**

**1. პროგრამის სახელწოდება**

4 და მეტ მცირეწლოვან (18 წლამდე) ასაკის ბავშვთა ოჯახებზე
ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა

**2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი**
დაწყება 01 აგვისტო 2018 წელი
დამთავრება 31 დეკემბერი 2018 წელი

**3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი**
60 000 (სამოციათასი) ლარი

**4. პროგრამის დაფინანსების წყაროები**

შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.
60 000 (სამოციათასი) ლარი

**5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო**
შუახევის მუნიციპალიტეტის მერია

**6. პრობლემების აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი რომლის საფუძველზე დგება პროგრამა**

D ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუსაქმებელია, მათი სოციალური დაცვის მიზნით ქვეყანაში გარკვეული ღონისძიებები ტარდება, საჭიროა დამატებითი ღონისძიების განხორციელება. მოსახლეობაში სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების სიმძიმის მხრივ ყველაზე მეტად გამოირჩევა მრავალშვილიანი ოჯახები, არასრულწლოვანი ბავშვებით, ასეთი ოჯახების ძირითადი ნაწილი შედგება სასკოლო ასაკის ბავშვებისაგან. პროგრამის მიზანია აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება. გასულ წლებში ანალოგიური პროგრამა განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში, ასეთ ოჯახებს გაეწიათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ცალკეულ ოჯახთა სოციალური მდგომარეობა, 2019 წელს აღნიშნული კატეგორიის გაჭირვებული ოჯახები, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, კვლავ საჭიროებს ერთჯერად ფინანსურ დახმარებას.

**7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები**

| # | პროგარმის მიზნები | მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები |
|---|---|---|
| 1 | 4 და მეტ მცირეწლოვან (18 წლამდე) ასაკის ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა | 4 და მეტი მცირეწლოვანი (18 წლამდე) ასაკის ბავშვთა ოჯახების კამყოფილების დონის ამაღლება. |

**8. პროგრამის მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) რაოდენობა და კატეგორია**

| # | მომხმარებელთა კატეგორია | რაოდენობა პროგნოზი | პროგრამით გათვალისიწნებული დახმარება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 4 და მეტ მცირეწლოვან (18 წლამდე) ასაკის ბავშვთა ოჯახები | 60 | 60X1000=60 000 | |
| | sul | | 60 000 | |

**9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით**

| 2019 წელი | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| # | საქმიანობის აღწერა | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | სულ |
| 1 | 4 და მეტ მცირეწლოვან (18 წლამდე) ასაკის ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა | | | | | | | | X | X | X | X | X | 60 000 |
| | სულ | | | | | | | | X | X | X | X | X | 60 000 |

10. <u>**პროგრამის ბიუჯეტი-დაფინანსება წლების მიხედვით**</u>

| წყაროს დასახელება | | 2019 weli | 2020 weli | 2021 weli | sul |
|---|---|---|---|---|---|
| ძირითადი | | 60 000 | | | |
| დამატებითი | | | | | |
| სულ | | 60 000 | | | 60 000 |

**11. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები**

პროგრამა საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებს არ საჭიროებს

1. პროგრამული დაფინანსება განხორციელდება შუახევის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე..

2. მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

პროგრამაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს ფიზიკური პირი, რომელიც არის შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები პირი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტებს:

2.1 განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

2.2. მშობლების პირადობის მოწმობის ქსეროასლები, დედანთან ერთად;

2.3. მშობლების ქორწინების მოწმობის ქსეროასლი დედანთან ერთად;

2.4. ბავშვების დაბადების მოწმობის ქსეროასლები დედანთან ერთად;

2.5. ერთერთი მშობლის სახელზე ბანკში გახსნილი ანგარიშის ნომერი.

2.6. შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა მაღალმთიან დასახლებაში მუდმვად მცხოვრები პირის სტატუსის ფლობის შესახებ ან/და სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახევის სამსახურის მიერ გაცემული ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან ან/და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის წერილობითი დოკუმენტი). თუ დახმარების მიღების მსურველი ან ერთ-ერთი მშობელი რეგისტრირებულია სხვა მუნიციპალიტეტში, უნდა წარმოადგინოს ცნობა მასზედ, რომ აღნიშნული პროგრამით იმ მუნიციპალიტეტისაგან დახმარება არ მიუღია.

2.7. თუ დახმარების მიღების მსურველი განქორწინებულია, უნდა წარმოადგინოს ქორწინების შეწყვეტის და ბავშვზე მეურვეობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. პროგრამით ისარგებლებენ ის პირებიც, რომელთა ერთ ან რამდენიმე შვილს 18 წელი შეუსრულდა 2019 წელს (პროგრამის განხორციელების დაწყებამდე).

გიორგი დავითაძე



საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა